ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი N 20

დ. ლენტეხი. 12.10. 2026.წ.

მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს დღის 12 სთ. ზე ჩატარდა საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე : ე. ლიპარტელიანი, წევრები : ხუტა მუკბანიანი, ამირან ქურასბედიანი, რევაზი გუჯეჯიანი, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ცირა ლიპარტელიანი, სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ქურასბედიანი, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, საფინანსო საბიუჯეტო კომისიის მდივანი მთვარისა ლიპარტელიანი.

კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ 3 წევრი , შესაბამისად სხდომა უფლებამოსილი შეუდგა მუშაობას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მიმდინარე წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხ. ტახუ ჩანქსელიანი/

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ტ. ჩანქსელიანმა წარმოადგინა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის ბიუჯეტის მიმდინარე წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა რომ 9 თვის შემოსავლები დაგეგმილია 14249.6 ათ ლარით , მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები 4874.8 ათ. ლარით, საკუთარი შემოსავლები 9374.8 ათ. ლარით. ფაქტიურად სულ შემოსულია 12367. 8 ათ. ლარი, შესრულებულია 86 პროცენტით . აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები 3447.5 ათ. ლარი, შესრულებულია 70 პროცენტით, საკუთარი შემოსავლები 8920.2 ათ. ლარი, შესრულებულია 95 პროცენტით. საკუთარი შემოსავლები 8920. 2 ათ. ლარი, შესრულებულია 95 პროცენტით. მათ შორის

გადასახდელები გეგმით გათვალისწინებულია 6741.4 ათ ლარით, შემოსულია 6368.7. ათ. ლარი, შესრულებულია 94 პროცენტით.

გრანტები გეგმით გათვალისწინებულია 7257.8 ათ. ლარი, შემოსულია 5703.0 ათ. ლარი, შესრულებულია 80 პროცენტით.

სხვა შემოსავლები გეგმით გათვალისწინებულია 250. 4 ათ. ლარი, შემოსულია 296.0 ათ ლარი, შესრულებულია 118 პროცენტით.

ხარჯები გეგმით გათვალისწინებულია 10599.4 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 9309.7 ათ. ლარი, შესრულებულია 87 პროცენტით. აქედან:

შრომის ანაზღაურების ფონდი--გეგმით 2554.4 ათ ლარი, გახარჯულია 2425.5 ათ ლარი, შესრულებულია 94% ით.

საქონელი და მომსახურეობა--გეგმით გათვალისწინებულია 2583.3 ათ ლარი, გახარჯულია 2425.5 ათ ლარი, შესრულებულია 93 %-ით.

სუბსიდიები დაგეგმილია 4940. 4 ათ ლარით, ფაქტიურად გახარჯულია 4264.3 ათ ლარი, შესრულებულია 86 %-ით.

გრანტები გეგმით გათვალისწინებულია 70.0 ათ. ლარი, გახარჯულია 70.0 ათ. ლარი, შესრულებულია 100 %-ით.

სოციალური უზრუნველყოფა გეგმით 339.0 ათ ლარი, გახარჯულია 285.6 ათ ლარი, შესრულებულია 84 %-ით.

სხვა ხარჯები დაგეგმილია 112.0 ათ ლარით, გახარჯულია 66.3 ათ. ლარი, შესრულებულია 59 %-ით

საგადასახადო შემოსავლები--დამატებითი ღირებულების გადასახადი გეგმით გათვალისწინებულია 6681.4 ათ ლარი, შემოსულია 6201.6 ათ ლარი, შესრულებულია 93 %-ი.

ქონების გადასახადი გეგმით 60. 0 ათ. ლარი, შემოსულია 167.1 ათ. ლარი, შესრულებულია 278 %-ით.

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გეგმით გათვალისწინებულია 3353.7 ათ. ლარი, ფაქტიურად 2716.2 ათ. ლარი, შესრულებულია 81 %-ით. კაპიტალური ტრანსფერი 2145.3 ათ. ლარი გეგმით, ფაქტიურად გახარჯულია 1984.2 ათ. ლარი, შესრულებულია 92 %-ი. სპეციალური ტრანსფერი გეგმით გათვალისწინებულია 1087.5 ათ. ლარი, ფაქტიურად გახარჯულია 732.6 ათ ლარი, შესრულებულია 67 %-ით.

ხარჯები----მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები გეგმით გათვალისწინებულია 5052.9 ათ. ლარი, ფაქტიურად გახარჯულია 4467.7 ათ ლარი, შესრულებულია 88 %-ით.

ინფრასტრუქტურის განვითარება გეგმით 8071.1 ათ. ლარი, ფაქტიურად გახარჯულია 4321.1 ათ. ლარი, შესრულებულია 53 %-ით.

დასუფთავება და გარემოს დაცვა 630.0 ათ .ლარი გეგმით, ფაქტიურად გახარჯულია 613.3 ათ. ლარი. შესრულებულია 98 %-ით.

განათლება გეგმით გათვალისწინებულია 1166.7 ათ. ლარი, ფაქტიურად გახარჯულია 1083.6 ათ. ლარი, შესრულებულია92 %-ით.

კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი გეგმით გათვალისწინებულია 2515.5 ათ. ლარი გახარჯულია 1981.3 ათ. ლარი. შესრულებულია 78 %-ით.

ჯამრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 561.5 ათ. ლარი გეგმით, ფაქტიურად გახარჯულია 478.0 ათ. ლარი. შესრულებულია 84 %-ით.

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრმა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომელიც მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას, კეთილმოწყობის ღონისძიებებს, დასუფთავებას და გარემოს დაცვას, 9 თვის შესრულება შეადგენს 54 % ს, მაინტერესებს რა მიზეზით არის გამოწვეული ამ მუხლის შესრულების დაბალი პროცენტი.

პასუხი იყო რომ ძირითადად სტიქიური მოვლენების შედეგად მიმწოდებლები ვერ ახერხებდნენ მასალების დროულად მიწოდებას და აქედან გამომდინარე ვერ სრულდებოდა გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები. აგრეთვე 4 ტენდერი რამდენჯერმე გამოვაცხადეთ მაგრამ გარკვეული მიზეზებით ჩაიშალა. ამან ყველაფერმა იმოქმედა გეგმის შესრულებაზე.

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრმა ამირან ქურასბედიანმა დასვა კითხვა: არაფინანსური აქტივების კლებაში ფაქტიურ შესრულებაში წარმოდგენილია 8.4 ათ. ლარი, მაინტერესებს ვისგან არის შემოსული, აგრეთვე საწარმოოთა ქონების გადასახადი შესრულებულია 278 %-ით . პასუხად, თანხა არაფინანსური აქტივების 8.4 ათ ლარი შემოსულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობების გაყიდვიდან, ხოლო ქონების გადასახადში 100.0 ათ ლარი არის ჰესებიდან შემოსული ქონების გადასახადი.

კომისიის წევრებმა აღნიშნული საკითხი განიხილეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომიიის თავმჯდომარე | ე. ლიპარტელიანი|